იცი, როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყნაში? წაიკითხე ტექსტები და გაიგებ, რა ხდება ახალ წელს ინგლისსა და ავსტრალიაში.

ახალი წელი ინგლისში

ახალი წელი ინგლისში დგება პირველ იანვარს. ამ დროს აქ ცივა, მაგრამ ქუჩებში უამრავი ხალხია. იმართება მხიარული კარნავალი. ქალაქის ქუჩებში ყიდიან ნიღბებს, ფრანებს, ბუშტებსა და სხვა ნივთებს. ზუსტად 12 საათზე რეკავენ ზარებს.

ინგლისში ბავშვებს ახალ წელს სანტა კლაუსი ულოცავს. მას წითელი ტანსაცმელი აცვია. აქვს გრძელი თეთრი წვერი. იგი საჩუქრებს არიგებს.

ახალი წელი ავსტრალიაში

ავსტრალიაშიც ახალი წელი პირველ იანვარს იწყება. აქ დეკემბერსა და იანვარში ზაფხულია. ამიტომ ახალ წელს ძალიან ცხელა. სანტა კლაუსს, მართალია, თეთრი წვერი აქვს და წითელი ქუდი ახურავს, მაგრამ შორტები აცვია.

როგორც კი ახალი წელი დგება, რეკავენ ზარებს. ხალხი მთელ ღამეს მხიარულობს ბარებში თუ ოკეანის სანაპიროზე.

დაფიქრდი, ახალ წელს ინგლისში ყოფნა უფრო საინტერესოა თუ ავსტრალიაში? რატომ?

დონე: A გარდამავალი, **კომპონენტი:** შედარება-შეპირისპირება

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ინგლისსა და ავსტრალიაში:

ა) ახალი წელი დგება პირველ იანვარს.

ბ) ახალ წელს იმართება მხიარული კარნავალი.

გ) ახალ წელს ქუჩებში იყიდება საჩუქრები.

2 რომელი ინფორმაციაა სწორი?

ა) ახალ წელს კარნავალი იმართება ინგლისშიც და ავსტრალიაშიც.

ბ) ახალ წელს ინგლისში ძალიან ცივა, ავსტრალიაში კი – ცხელა.

გ) სანტას წითელი შორტები აცვია ინგლისშიც და ავსტრალიაშიც.

3 ინგლისსა და ავსტრალიაში ზუსტად 12 საათზე:

ა) იმართება კარნავალი. ბ) ირეკება ზარები. გ) იყიდება ფრანები.

4 რა არის მოცემული ტექსტების მთავარი მიზანი?

ა) გაგვაცნოს, რა ნივთები იყიდება ახალ წელს ინგლისის ქუჩებში.

ბ) გვიამბოს, რას აკეთებს სანტა ახალ წელს ინგლისსა და ავსტრალიაში.

გ) შეადაროს, როგორ ხვდებიან ახალ წელს ინგლისსა და ავსტრალიაში.

▶▶▶ ლექსიკა

1 ხაზებით დააკავშირე სიტყვები შესაბამის სურათებთან.

ბუშტი

ფრანი

ნიღაბი

2 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) ახალი – ძველი. ბ) გრძელი – მოკლე. გ) უამრავი – ბევრი.

3 სწორად დააკავშირე სიტყვები ხაზებით.

ახალი წელი	იმართება.
კარნავალი	ირეკება.
ზარები	დგება.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე გამოტოვებული ფორმები.

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
ქუჩა	***ქუჩები***
ქალაქი	
	ნიღბები
ნივთი	
	ღამეები

გრამატიკა

2 შეარჩიე სწორი ფორმა.

ავსტრალიაში ახალ წელს ოკეანის ---------- ხვდებიან.

ა) სანაპიროზე. ბ) სანაპირომდე. გ) სანაპიროსკენ.

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ახალი წელი ინგლისში ---------- იანვარს დგება. ***(პირველი, პირველ)***
2. სანტა ---------- გრძელი წვერი აქვს. ***(კლაუსი, კლაუსს)***
3. ქუჩებში ---------- ბევრი ხალხი. ***(არის, არიან)***

წერა

1 დაწერე, რით ჰგავს და რით განსხვავდება ახალი წელი ინგლისსა და ავსტრალიაში.



2 დაწერე, როგორ ხვდებიან ახალ წელს შენს კუთხეში. დახატე ახალი წელი.

_____

_____

_____

_____

_____